ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N -10

ქალაქი ქობულეთი 9 ნოემბერი, 2015 წელი

ერთის მხრივ გურამ თამაზაშვილის სახელობის ა(ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის ბადრი ცეცხლაძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ "ვახტანგ მაკარაძე" წარმომადგენელი ვახტანგ მაკარაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე დებულ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: კომპიუტერული ტექნიკის (უწყვეტი კვების ბლოკი და ვიდეო კარტა) შეძენა.
1.2.მომწოდებელი თანახმაა მიაწოდოს "შემსყიდველს" კომპიუტერული ტექნიკის cpv 30200000 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
1.2. საქონლის ზუსტი დასახელება , რაოდენობა და ფასი განსაზღვრულია ხელშეკრულების თანდართულ ფორმა #3-ით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 200 (ორასი ლარი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს მწე რ.ცეცხლაძე რომელიც აფორმებს მომწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტს.
3.2. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით შედგენილი სასაქონლო ზედნადების შემდეგ.
3.3. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს საქონელი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.
3.4. თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
3.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზის შესახებ.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
4.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ შედგენილი სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
4.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედნადებზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
5.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით [illegible] ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს [illegible] გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
6.2. ხელშეკრულების [illegible] ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების [illegible] შესრულებისაგან.

შემსყიდველი: [illegible] 446953235

მიმწოდებელი:

6.3. ხელშეკრულების 6.1 მუხლში მრითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.
6.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 6.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების გაცხრახვის თაობაზე.
6.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
7.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
8.2. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.
8.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციაში მითითებულ დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.
8.4. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
8.5. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
8.6. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
8.7. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
8.8. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგ ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

10. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
გურამ თამაზაშვილის სახელობის ა(ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მზედრული"	ი/მ "ვახტანგ მაკარაძე"
ქობულეთი. ლესელიძის ქ. №1	ქობულეთი. რუსთაველის # 120
საიდენტ. კოდი 446953235	საიდენტ. კოდი 61004015142
	ს.ს "საქართველოს ბანკი"
	ბანკის კოდი BAGAGE22
	ანგარიშის # GE70BG0000000179823000
ტელ: 595 99 99 20	ტელ: 599 72-99-79
დირექტორი /ბადრი ცეცხლაძე/	დირექტორი /ვახტანგ მაკარაძე/
შემსყიდველი	მიმწოდებელი

ინფორმაცია

ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ

ფორმა № 3

№	დასახელება	განზ-ბის ერთეული	რაოდ-ბა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი
1	უწყლები ქვების ბლოკი	ცალი	1	90	90
2	ვიდეო კარტა	ცალი	1	110	110
	სულ				200

ი/მ "ვახტანგ მაკარაძე":----------"ვ.მაკარაძე